გამარჯვებით დაგვიბრუნდნენ

გუშინ, შუადღისას, მოსკოვიდან მშობლიურ ქალაქში ჩამოფრინდნენ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, რომლებმაც 4 მარტს შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს ლონდონში ადგილობრივ "ვესტ ჰემის" პროფესიულ საკლუბო გუნდთან ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა ათასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში.

საქართველოს დედაქალაქის საჰაერო ჭიშკარი – თბილისის აეროპორტი. მას არაერთგზის მიუღია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე სპორტსმენები, რომლებსაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც სასახელოდ დაუცავთ რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება და სხვადასხვა პრიზებით ხელდამშვენებულნი გამოჩენილან ტრაპზე.

…მახსენდება დინამოელ ფეხბურთელთა 1959 წლის ტრიუმფული ტურნე საფრანგეთში. ახლაც თვალწინ მიდგას გუნდის კაპიტნის შოთა იამანიძის მოღიმარი სახე, მორიდებულად რომ პასუხობდა პრესის წარმომადგენლებს, ანდა დინამოელ კალათბურთელთა დაბრუნება ჟენევიდან, სადაც მათ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში დაამარცხეს აღიარებული მეტოქე – მადრიდის "რეალი" და თბილისში ვერცხლის პრიზი ჩამოიტანეს. დაუვიწყარია 1964 წლის 19 ნოემბრის გვიანი ღამე, როცა უზბეკეთის დედაქალაქიდან საჰაერო ლაინერმა ჩამოიყვანა "ოქროს ბიჭები" – კოტრიკაძე, სიჭინავა, ბარქაია, მეტრეველი, მესხი, იამანიძე და სხვები, რომელთაც ის–ის იყო ნეიტრალურ სტადიონზე სძლიეს ჩვენი ფეხბურთის მაშინდელ ლიდერს – მოსკოვის "ტორპედოს" და ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი… ერთი სიტყვით, მრავლის მომსწრეა ჩვენი ქალაქის აეროპორტი და ახლაც როგორც კი საათის ისარი ორს მიუახლოვდა, დამხვდურნი წამით გაინაბნენ და ცას მიაპყრეს მზერა…

აი, საზეიმო მარშის ხმაზე იხსნება თვითმფრინავის კარი და პირველი გამოჩნდა თბილისელთა მცველი თ. სულაქველიძე, რომელსაც ტელეკომენტატორებმა მიწაზე ფეხის დადგმა არ აცალეს და იქვე კიბეებზე შეაგებეს მიკროფონი.

ჩვენი არჩევანი კი ამჯერად შეჩერდა თბილისის "დინამოს" დებიუტანტ – ზ. სვანაძეზე, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი მეტად საპასუხისმგებლო და რთულ ამოცანას და ღირსეულად აუბა მხარი დინამოელთა "ხმაშეწყობილ" ანსამბლს.

– ზაურ, რას იტყოდით თქვენს გამოსვლაზე ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში, ალბათ ამ დებიუტს სათანადო მღელვარება ახლდათან…

– რა თქმა უნდა, ვღელავდი და შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტადაც. ეს ხომ ჩემი პირველი გამოსვლა იყო ოფიციალურ მატჩში დინამოელთა მხარდამხარ და ისიც ისეთ ძლიერ გუნდთან შეხვედრაში, როგორიც "ვესტ ჰემია". საერთოდ კი, მგონი ცუდად არ მითამაშია და ამის გამო დიდი მადლობა მინდა მოვახსენო გამოცდილ დინამოელებს, კერძოდ, გუნდის კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანს, ვიტალი დარასელიას, თენგიზ სულაქველიძესა და სხვებს, რომლებიც თამაშის დროს მამხნევებდნენ – მიდი ზაურ, თამაში გამოგდის და შენ იციო.

ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება იყო მეთამაშა ამ გუნდში. ოცნება ამიხდა და თავს არ დავიზოგავ, რათა მისი ღირსეული წევრი ვიყო…

ტრაპიდან დავით ყიფიანი ჩამოვიდა. ძლივს დავიმარტოხელეთ მატჩის ერთ–ერთი გმირი და ვთხოვეთ შთაბეჭდილების გაზიარება.

– ვიცოდი, რომ “ვესტ ჰემი” ისევე როგორც ყველა პროფესიული გუნდი, მცირე შეცდომასაც არ გვაპატიებდა. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მინდორზე მოდუნება. გულშემატკივრებმა არ იფიქრონ, რომ ასეთი დიდი ანგარიში, როგორითაც ლონდონელები დავამარცხეთ, მათ დაბალ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებდეს. არა. ბოლო წუთამდე “ვესტ ჰემი” ნამდვილ მებრძოლ კოლექტივად დარჩა. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ ჩვენის მხრივ საქმეს უკვე მოთავებულად ვთვლით. “ვესტ ჰემი”, რომელსაც თბილისში უამრავი გულშემატკივარი ჩამოჰყვება, რევანშის აღებასა და ქომაგების თვალში რეაბილიტაციას შეეცდება. ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

– რა ვუსურვოთ თქვენს გულშემატკივრებს?

– ზოგი რამ გადმოვიღოთ ინგლისელებისაგან, კერძოდ ის მთელი გულით, მხურვალე მხარდაჭერა თავისი გუნდისა, რისი მოწმენიც ჩვენ იქ გავხდით.

– ყველაზე უფრო რომელი მომენტი დაგამახსოვრდათ ამ მატჩში?

– ეს ისეთი უშეღავათო ბრძოლა გახლდათ, რომ არაერთი მომენტი შეიძლება გავიხსენო, მაგრამ ყველაზე უფრო ის ჩაიბეჭდა მეხსიერებაში, როცა ბურთი ჩივაძემ გაიტანა.

– როდის დარწმუნდით, რომ გამარჯვება თქვენ დაგრჩებოდათ?

– როცა მსაჯმა უკანასკნელად ჩაჰბერა სასტვენს.

– რა აზრისა ხართ ახალგაზრდების, კერძოდ ზ. სვანაძის თამაშზე?

– ზაურის სახით “დინამომ” კარგი, იმედის მომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიძინა. იგი ძლიერი მოთამაშე დადგება. მაგრამ ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული – როგორ მოეკიდება იგი თავის საფეხბურთო კარიერას.

გუნდის კაპიტანს ა. ჩივაძეს კი ასეთი კითხვით მივმართეთ.

– რას იტყვით სვანაძისა და თავაძის თამაშზე?

– ორივემ შესანიშნავად ითამაშა.

და, ბოლოს, გუნდის მწვრთნელს ს. კუტივაძეს ვთხოვეთ შეეფასებინა დინამოელთა ეს წარმატება. მწვრთნელმა მოკლედ და გარკვევით გვითხრა:

– ეს იყო იმ დაძაბული და შრომატევადი მუშაობის შედეგი, რაც გუნდის თითოეულმა წევრმა გასწია ამ ორი თვის განმავლობაში. ყოველი ჩვენთაგანი დიდი პასუხისმგებლობითა და მთელი შეგნებით მოეკიდა ამ საპატიო ამოცანას და წარმატების თავი და თავიც სწორედ ეს არის…

უ. ჭიჭინაძე.

“ლელო”, 7 მარტი, 1981 წ.